

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
ბრძანება №491

2014 წლის 2 ივლისი ქ. თბილისი

შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის  
ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი  
პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტების, აგრეთვე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს:

ა) შემაკავებელი ორდერის თანდართული ფორმა (დანართი №1).

ბ) შემაკავებელი ორდერის ოქმის თანდართული ფორმა (დანართი №2).

**მუხლი 2**

შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენის უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები:

ა.ა) ოცეულის მეთაური;

ა.ბ) ათეულის მეთაური;

ა.გ) უფროსი პატრულ-ინსპექტორი;

ა.დ) პატრულ-ინსპექტორი;

ა.ე) უმცროსი პატრულ-ინსპექტორი.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი.

**მუხლი 3** (02.06.2017 N281)

ამ ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა უზრუნველყონ შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების აღრიცხვა და ერთიანი აღრიცხვის მიზნით სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში წარდგენა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მათი გამოცემიდან 12 საათისა.

**მუხლი 4**

ამ ბრძანებით განსაზღვრული პირები უფლებამოსილნი არიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე დაწყებული გამოძიების პარალელურად, საჭიროების შემთხვევაში გამოსცენ შემაკავებელი ორდერი.

## მუხლი 5

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 ივნისის №440 ბრძანება.

## მუხლი 6

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შინაგან საქმეთა მინისტრი

*ალექსანდრე ჭიკაიძე*

დანართი №1

### შემაკავებელი ორდერი №000000

1. ორდერის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი -----  
\_\_\_\_\_

2. ორდერის შედგენის საფუძველი -----  
\_\_\_\_\_

(კონკრეტულად, რაში გამოიხატა ძალადობა)

2<sup>1</sup>. ორდერის მოქმედების ვადა (02.06.2017 N281) \_\_\_\_\_

3. მსხვერპლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი და საცხოვრებელი ადგილი (02.06.2017 N281)  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

4. მოძალადის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი (02.06.2017 N281)  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

5. ძალადობის ფორმა (გაუსვით ხაზი): (02.06.2017 N281)

„ა) ფიზიკური; ბ) ფსიქოლოგიური; გ) ეკონომიკური; დ) სექსუალური; ე) იძულება; ვ) უგულვებლყოფა.

6. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია (გაუსვით ხაზი): (02.06.2017 N281)

ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდება და მათი თავშესაფარში მოთავსება;

- გ) მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- დ) არასრულწლოვნისგან მოძალადის განცალკევება;
- ე) მოძალადისათვის მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- ვ) მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- ზ) მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა

-----  
-----  
(შეზღუდვის არსი)

- თ) მოძალადისათვის იარაღის შემენის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების აკრძალვა;
- ი) პირად საკუთრებაში არსებული იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო) ჩამორთმევა და შენახვა;
- კ) \_\_\_\_\_  
(სხვა ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის)

7. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია მსხვერპლის დაცვის შემდეგი ღონისძიებები (გაუსვით ხაზი):

- ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდება;
- ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება;
- გ) \_\_\_\_\_  
(გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)

8. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოძალადეს დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

9. შემაკავებელი ორდერი ძალაშია მისი გამოცემისთანავე.

10. შემაკავებელი ორდერი შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ზარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება ორდერის გამომცემ ორგანოში. (02.06.2017 N281)

10<sup>1</sup>. შემაკავებელი ორდერის ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება: (02.06.2017 N281)

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა.ა) ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით;

ა.ბ) საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს შესაბამისი ინფორმაციის სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის, სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისა და სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით;

ა.გ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, თუ შემაკავებელი ორდერი იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება;

ბ) მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება.

10<sup>2</sup>. მსხვერპლმა ან მოძალადემ შემაკავებელი ორდერი შეიძლება გაასაჩივროს სასამართლოში მისთვის ამ ორდერის გადაცემიდან/ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. (02.06.2017 N281)

11. (02.06.2017 N281)

\_\_\_\_\_

მოძალადის ხელმოწერა შემაკავებელი ორდერის მიღებაზე ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

მსხვერპლის ხელმოწერა შემაკავებელი ორდერის მიღებაზე ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა, უარის მიზეზი 12.

\_\_\_\_\_

(შემაკავებელი ორდერის გამომცემი თანამდებობის პირის სახელი, გვარი და თანამდებობა)

\_\_\_\_\_

(თანამდებობის პირის ხელმოწერა)

დანართი №2

### შემაკავებელი ორდერის ოქმი №000000

1. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

2. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონის ნომერი

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

3. მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

4. ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (02.06.2017 N281)

1. შემთხვევის თარიღი:	_____
2. შემთხვევის ადგილი:	_____

3. დრო:	ძალადობის დრო	შეტყობინების დრო	შემთხვევის ადგილზე მისვლის დრო
4. არსებული მხარეები (გაუსვით ხაზი)	მსხვერპლი	მომალადე	არასრულწლოვანი მოწმე
5. ძალადობის სახე (რაში გამოიხატა ძალადობა)			
6. ვის აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, რა სახის და სად			
7. ინფორმაცია იარაღის გამოყენების შესახებ (გაუსვით ხაზი)	გამოიყენა	სცადა გამოყენება	დაემუქრა არ გამოიყენა
8. იარაღის შენახვისა და ტარების უფლება (გაუსვით ხაზი)	მომალადეს აქვს შენახვის უფლება; აქვს ტარების უფლება; აქვს სამსახურებრივ-საშტატო იარაღი		
9. მსხვერპლის დამოკიდებულება მომალადესთან (გაუსვით ხაზი)	დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღზრდილი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას		
	ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევაში აგრეთვე – ნებისმიერი სხვა პირი (შესაძლებლობის შემთხვევაში მიუთითეთ კავშირი)		
	არასრულწლოვნის განცალკევების შემთხვევაში აგრეთვე – ნებისმიერი სხვა პასუხისმგებელი ან მასთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები პირი (შესაძლებლობის შემთხვევაში მიუთითეთ კავშირი)		
10. ოჯახის წევრები			
11. არასრულწლოვნის მონაწილეობა ინციდენტში (გაუსვით ხაზი)	იღებდა მონაწილეობას ინციდენტში; არ მონაწილეობდა ინციდენტში; არის ინციდენტის მოწმე		
	რამდენი არასრულწლოვანი მონაწილეობდა და რაში გამოიხატა ინციდენტში მონაწილეობა )		
12. შეგროვებული სამხილები (მათი არსებობის შემთხვევაში)			

13. მსხვერპლის აღქმა (გაუსვით ხაზი)	<p>ა) მსხვერპლს მიაჩნია, რომ მოძალადემ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ან მოკლას იგი;</p> <p>ბ) მსხვერპლი განცალკევდა ან ცდილობს განცალკევებას;</p> <p>გ) მსხვერპლი ითხოვს კანონით გათვალისწინებულ დაცვას.</p> <p>მსხვერპლი ითხოვს:----- -----</p>
14. მოძალადის აღქმა (გაუსვით ხაზი)	<p>ა) მოძალადე აღიარებს ძალადობის ფაქტს;</p> <p>ბ) მოძალადე უარყოფს ძალადობის ფაქტს;</p> <p>გ) მოძალადე ადანაშაულებს მსხვერპლს.</p> <p>მოძალადე ითხოვს:----- -----</p>
15. დამატებითი ინფორმაცია	<p>-----</p> <p>-----</p> <p>(რასაც აუცილებლად ჩათვლის ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირი )</p>
16. ოქმს თან ერთვის (გაუსვით ხაზი)	<p>ა) მსხვერპლის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი;</p> <p>ბ) მოძალადის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი;</p> <p>გ) მოწმის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი.</p> <p>(ახსნა-განმარტებაში/გამოკითხვის ოქმში აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული გარემოებები (რა მოხდა) და მისი გამომწვევი მიზეზები)</p>

5. პოლიციის მიერ მიღებული ზომები:-----  
-----  
-----

(განხორციელებული მოქმედებების მოკლე აღწერა)

6. შემაკავებელი ორდერის ოქმს გავეცანი და ვეთანხმები მის შინაარსს:

-----  
(მსხვერპლის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

-----  
(მოძალადის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

-----  
(მოწმის (არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა)

7. შემაკავებელი ორდერის ოქმი დგება ერთ ეგზემპლარად და რჩება მის გამომცემ ორგანოს. ოქმის შემდგენელის ხელმოწერით დამოწმებული ოქმის ასლი წარედგინება ზედამხედველ პროკურორს. (02.06.2017 N281)

8. -----

-----  
(ოქმის შემდგენელი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა)

-----  
(ხელმოწერა)